ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №4

14.12.2017 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი, ირაკლი ნადირაძე, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **თამარ ტალიაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ანა ლაშხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **მარიკა დარჩია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ქეთევან ჯოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქაია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. **ზაზა ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. **სოფიო ხუნწარია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი.
6. **კახაბერ გვანცელაძე** - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
7. **გურამ ნიკოლაშვილი** - თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელმძღვანელი;
8. **ზურაბ წერეთელი** - ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელი;

9. **მანანა წნორიაშვილი** - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ფიალიალების დირექტორი;
10. **ნინო სანადირაძე** - მუზეუმების გაერთიანების დირექტორი;
11. **თინათინ რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის'' დირექტორი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და კულტურისა და განათლების კომისიის თავმჯდომარემ ქ-ნმა თამარ ტალიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) ორი კომისიის (გარემოს დაცვის კომისია, განათლებისა და კულტურის კომისია) ერთობლივი სხდომის ფორმატში. გარდა ამისა, ქ-ნმა თ. ტალიაშვილმა თხოვნით მიმართა კომისიის წევრებს, პირველ საკითხად განეხილათ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქ-ნი თამარ ტალიაშვილის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ გარემოს დაცვის კომისიის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი ქ-ნი თამარ ტალიაშვილის წინადადების გათვალისწინებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 8 დეკემბრის №12-031734272-03 წერილი) - ოქმს ერთვის

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის თამჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 8 დეკემბრის №12-031734272-03 წერილი)

მომხსენებლისა და თანამომხსენებლების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლების) მიერ განსახილველი საკითხის წარდგენამდე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის“ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული კულტურის, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტების თაობაზე **აზრი გამოთქვეს:**

ქ-ნმა თ. ტალიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა კულტურის მნიშვნელობის, აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების აუცილებლობისა და ამ მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების აუცილებლობის თაობაზე.

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები წარმოდგენილია სათანადო დასაბუთებებით, რაც მისასალმებელია. ხოლო კითხვა-პასუხის რეჟიმში სხდომის გაგრძელებისას, მომხსენებელი და თანამომხსენებლები დეტალურ (დაზუსტებულ) ინფორმაციას მიაწვდიან დამსწრე საზოგადოებას.

სხდომის დღის **წესრიგის პირველი საკითხი** წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა 861 609 000 (რვაასსამოცდაერთი მილიონ ექვსას ცხრა ათასი) ლარით. წარმოდგენილი პროექტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 46 398 900 (ორმოცდაექვსი მილიონ სამას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარით, მათ შორის, გაიზარდა სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100 000 (ასი ათასი) ლარით, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა 3 298 900 (სამი მილიონ ორას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარით და ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერის სახით აისახა 43 000 000 (ორმოცდასამი მილიონი) ლარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა–აღდგენა - 130 531 300 (ას ოცდაათი მილიონ ხუთას ოცდათერთმეტი ათას სამასი) ლარი;

– ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 195 642 100 (ას ოთხმოცდათხუთმეტი მილიონ ექვსას ორმოცდაორი ათას ასი) ლარი;

– ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება 88 089 300 (ოთხმოცდარვა მილიონ ოთხმოცდაცხრა ათას სამასი) ლარი. მათ შორის:

გამწვანების ღონისძიებისთვის (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 03 01) გათვალისწინებულია 20 136 400 (ოცი მილიონ ასოცდათექვსმეტი ათას ოთხასი) ლარი.

2017 წელთან შედარებით პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 6 527 400 (ექვსი მილიონ ხუთას ოცდაშვიდი ათას ოთხასი) ლარით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 9 296 200 (ცხრა მილიონ ორას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ორასი) ლარის ოდენობით ინფრასტრუქტურული პროექტები (სარწყავი სისტემების მოწყობა- რეაბილიტაცია, ახალი სკვერების გაშენება და სათამაშო ატრაქციონების შესყიდვა).

პირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია **პროგრამა დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 03 02)** 3 000 000 (სამი მილიონი) ლარით, რომელიც მოხმარდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონისთვის ნაგვის სატკეპნი დანადგარის შეძენას. ასევე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მე-3 უჯრედის მშენებლობისთვის 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარი და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონის წყალგამწმენდი დანადგარის შესაძენად 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი.

თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამისთვის (პროგრამის/ქვეპროგრამის კოდი: 03 03) გამოყოფილია 5 952 900 (ხუთი მილიონ ცხრაას ორმოცდათორმეტი ათას ცხრაასი) ლარი.

– ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 990 000 (ორი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი;

– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 29 925 700 (ოცდაცხრა მილიონ ცხრაას ოცდახუთი ათას შვიდასი) ლარი;

– ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 189 539 500 (ას ოთხმოცდაცხრა მილიონ ხუთას ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი) ლარი;

– განათლება - 117 445 600 (ას ჩვიდმეტი მილიონ ოთხას ორმოცდახუთი ათას ექვსასი) ლარი;

– კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 28 954 000 (ოცდარვა მილიონ ცხრაას ორმოცდათოთხმეტი ათასი) ლარი;

– საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 158 300 (სამი მილიონ ას ორმოცდათვრამეტი ათას სამასი) ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდება ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა.

– ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333 300 (სამოცდათხუთმეტი მილიონ სამას ოცდაცამეტი ათას სამასი) ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 810 009 000 (რვაას ათი მილიონ ცხრა ათასი) ლარის ოდენობით. მათ შორის:

- გადასახადები - 250 000 000 (ორას ორმოცდაათი მილიონი) ლარი;
- საშემოსავლო გადასახადი - 90 000 000 (ოთხმოცდაათი მილიონი) ლარი.
- საწარმოთა ქონებაზე გადასახადი - 129 000 000 (ას ოცდაცხრა მილიონი) ლარი;
- ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 16 000 000 (თექვსმეტი მილიონი) ლარი;
- მიწაზე ქონების გადასახადი 15 000 000 - (თხუთმეტი მილიონი) ათასი ლარი.
- გრანტები - 389 329 300 (სამას ოთხმოცდაცხრა მილიონ სამას ოცდაცხრა ათას სამასი) ლარი;
- გათანაბრებითი ტრანსფერი - 345 806 900 (სამას ორმოცდახუთი მილიონ რვაას ექვსი ათას ცხრაასი) ლარი. თავდაპირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 3 298 900 (სამი მილიონ ორას ოთხმოცდათვრამეტი ათას ცხრაასი) ლარით (2017 წელთან შედარებით გაზრდილია 13 624 700 (ცამეტი მილიონ ექვსას ოცდაოთხი ათას შვიდასი) ლარით);
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 62 400 (სამოცდაორი ათას ოთხასი) ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 460 000 (ოთხას სამოცი ათასი) ლარი;
- სპეციალური ტრანსფერი - 43 000 000 (ორმოცდასამი მილიონი) ლარი;
- სხვა შემოსავლები - 170 779 700 (ას სამოცდაათი მილიონ შვიდას სამოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარი, მათ შორის:
- შემოსავალი საკუთრებიდან – 15 071 200 (თხუთმეტი მილიონ სამოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 64 000 000 (სამოცდაოთხი მილიონი) ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 45 000 000 (ორმოცდახუთი მილიონი) ლარი;
- სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 26 500 000 (ოცდაექვსი მილიონ ხუთასი) ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 20 208 500 (ოცი მილიონ ორას რვა ათას ხუთასი) ლარი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია 604 571 500 (ექვსას ოთხი მილიონ ხუთას სამოცდათერთმეტი ათას ხუთასი) ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურება 82 716 500 (ოთხმოცდაორი მილიონ შვიდას თექვსმეტი ათას ხუთასი) ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 136 592 100 (ასოცდათექვსმეტი მილიონ ხუთას ოთხმოცდათორმეტი ათას ასი) ლარი, პროცენტები გათვალისწინებულია 1 867 900 (ერთი მილიონ რვაას სამოცდაშვიდი ათას ცხრაასი) ლარით, სუბსიდიები 84 168 700 (ოთხმოცდაოთხი მილიონ ას სამოცდარვა ათას შვიდასი) ლარით, გრანტები 32 100 (ოცდათორმეტი ათას ასი) ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 155 482 100 (ას ორმოცდათხუთმეტი მილიონ ოთხას ოთხმოცდაორი ათას ასი) ლარით და

სხვა ხარჯები 143 712 100 (ას ორმოცდასამი მილიონ შვიდას თორმეტი ათას ასი) ლარით, მათ შორის, ფინანსდება ისეთი პროგრამები, როგორიცაა: ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა, მწვრთნელთა მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება და სხვა.

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 108 470 200 (ას რვა მილიონ ოთხას სამოცდაათი ათას ორასი) ლარს, მათ შორის:

- არაფინანსური აქტივების ზრდა – 158 470 200 (ას ორმოცდათვრამეტი მილიონ ოთხას სამოცდაათი ათას ორასი) ლარი.
- არაფინანსური აქტივების კლება – 50 000 000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარი.

ფინანსური აქტივების ცვლილება 90 905 700 (ოთხმოცდაათი მილიონ ცხრაას ხუთი ათას შვიდასი) ლარი;

- ფინანსური აქტივების ზრდა – 92 405 700 (ოთხმოცდათორმეტი მილიონ ოთხას ხუთი ათას შვიდასი) ლარი;
- ფინანსური აქტივების კლება – 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ათასი ლარი.

2018 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება 6 161 600 (ექვსი მილიონ ას სამოცდაერთი ათას ექვსასი) ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2018 წლისათვის განისაზღვრა 97 067 300 (ოთხმოცდაჩვიდმეტი მილიონ სამოცდაშვიდი ათას სამასი) ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 861 609 000 (რვაას სამოცდაერთი მილიონ ექვსას ცხრა ათასი) ლარს.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კითხვები დასვეს:

ბ-ნმა ირაკლი ნადირაძემ (კომისიის წევრი):

- დიდი ლილოს მიმდებარედ, თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის (ე.წ. ლილოს ნაგავსაყრელის) ექსპლოატაციის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. დამატებით აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მიმართულებით, საბიუჯეტო ასიგნებების ნაწილში, შეკითხვები არ გააჩნია, რადგან აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსებას, მთლიანობაში, დადებითად აფასებს.

- 2018 წელს განსახორციელებელი 2 ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობის თაობაზე. ბ-ნმა ირ. ნადირაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქის გარეუბნებში, განსაკუთრებით, სამგორის რაიონში საჭიროა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობა.

- ბიუროკრატიული (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების) ხარჯების თაობაზე. გამომსვლელის (რ. ნადირაძის) განმარტებით, 2013 წლის შემდეგ ბიუროკრატიული ხარჯების (განსაკუთრებით სახელფასო ნაწილის) დაფინანსება გაზრდილია.

- კულტურის მიმართულებით განსახორციელებელი სუბსიდირების თაობაზე.

ბ-ნი ირაკლი ნადირაძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბ-ნი გიგა გიგაშვილის განმარტებით,** სამომავლოდ, შესაძლოა, განხორციელდეს ლილოს ნაგავსაყრელის დახურვისთვის საჭირო ღონისძიებები და სანაცვლოდ აშენდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი პოლიგონი. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ამ ეტაპზე, ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBERD), რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მყარი ნარჩენების მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილემ ზაზა ცინცაძემ, ისაუბრა იმ გარდამავალ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც 2018 წელს დაიწყება ორი ახალი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა სოფიო ხუნწარიამ ისაუბრა სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების დაფინანსების თაობაზე და აღნიშნა, რომ დაფინანსების სქემა, მათ შორის, სკოლებში დასაქმებული პედაგოგების ხელფასების საკითხი გადასახედია, რადგან პედაგოგ-მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება დაბალია და საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობა. თანამომხსენებელმა (ს. ხუნწარიამ) ასევე ყურადღება გაამახვილა მულტიფუნქციური ცენტრების აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ყველა რაიონში გაიხსნას მულტიმედიური ცენტრები ახალგაზრდებისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის ბ-ნი გ. თალაკვაძის განმარტებით, ბიუროკრატიული (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების) ხარჯებისთვის 2013 წელს გამოყოფილი იყო 47 000 000 (ორმოცდაშვიდი მილიონი) ლარი და დამატებით, სუბსიდირების სახით, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში შემავალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სააგენტოებისთვის გამოიყო დაფინანსება, 2015 წელს, აღნიშნული მიმართულებით დაფინანსება შეადგენდა 42 000 000 (ორმოცდაორი მილიონი) ლარს, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტში სუბსიდირების სახით, ცალკე მუხლებად აისახა ისეთი პროგრამების დაფინანსება, როგორიცაა, მაგალითად:

სასწრაფო სამედიცინო დახმარების დაფინანსება და სხვ., 2016 წელს - 94 000 000 (ოთხმოცდათოთხმეტი მილიონი) ლარი, 2017 წელს - 87 800 000 (ოთხმოცდაშვიდი მილიონ რვაასი) ლარი, ხოლო 2018 წლის პროექტით ბიუროკრატიული ხარჯებისთვის გათვალისწინებულია 82 000 000 (ოთხმოცდაორი მილიონი) ლარი, რაც ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებაზე მეტყველებს. ბ-ნმა გ. თალაკვაძემ დამატებით აღნიშნა, დაინტერესების შემთხვევაში, დაზუსტებულ ინფორმაციას წარადგენს საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვისას.

ბ-ნმა ირ. ზარქუამ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე) ისაუბრა 2014 წლამდე ბიუროკრატიული ხარჯებისთვის გამოყოფილი დაფინანსების არამიზნობრივი ხარჯის თაობაზე.

ბ-ნი ირ. ნადირაძის განმარტებით, ბ-ნი გ. თალაკვაძის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადასტურებს მის პოზიციას, 2013 წლის შემდეგ პერიოდში, ბიუროკრატიული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის შესახებ.

შეკითხვა დასვა ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა (საკრებულოს წევრი) ფესტივალების დაფინანსების, ასევე, მუზეუმების რეექსპოზიციის თაობაზე.

ბ-ნი ნ. ვაჩეიშვილის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხეს ქ-ნმა თ. ტალიაშვილმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე), ნინო სანადირაძემ (მუზეუმების გაერთიანების დირექტორი) და ქ-ნმა ს. ხუნწარიამ. მათი განმარტებით, 2018 წელს იგეგმება შემოქმედებითი მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება, ასევე, უკვე შემუშავების პროცესშია მუზეუმების რეექსპოზიციის პროექტი.

აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს წევრებმა ქ-ნმა თ. ტალიაშვილმა, ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა და ირ. ზარქუამ - კულტურის მიმართულებით განსახორციელებელი პროგრამების დადებითად შეფასების თაობაზე.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მხრიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 8 დეკემბრის **№12-031733272-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 8 დეკემბრის №12-031734272-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 უხლის, მე-3 პუნქტის თანახმად, კომისიის თამჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის თაობაზე

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ.

მომხსენებლის (ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის) ინფორმაციით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია კომისიის წევრთაგან განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის.

საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელა კომისიის წევრი ლევან ჯაფარიძის კანდიდატურა.

კომისიის წევრების მიერ სხვა კანდიდატები არ დასახალებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრის ლევან ჯაფარიძის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების შემთხვევისათვის, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნას ლევან ჯაფარიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე